გაითვალისწინეთ, აღნიშნული ტესტი არის მხოლოდ ფინალური ტურის ნიმუში. ფინალურ ტურში დაგხვდებათ 12 საკითხი. გისურვებთ გამარჯვებას!

მე-11 და მე-12 კლასები

1. **(3 ქულა)** ერთი საცხოვრებელი კორპუსი 16 მეტრით უფრო მაღალია, ვიდრე მეორე. თუკი პირველი და მეორე კორპუსის სიმაღლეების თანაფარდობა არის 3:4, რას უდრის უფრო მაღალი კორპუსის სიმაღლე?
ა. 50 ბ. 64 გ. 80 დ. 112

2. **(2 ქულა)** ჩამოთვლილი ფიგურებიდან რომელს აქვს ყველაზე მეტი სიმეტრიის ღერძი?
ა. კვადრატს
ბ. ტოლგვერდა სამკუთხედს
გ. მართკუთხა სამკუთხედს
დ. ტოლფერდა ტრაპეციას

3. **(4 ქულა)** საახალწლო სანათზე 500 ცალი ნათურიდან 80% არის ყვითელი, დანარჩენი კი ლურჯი. რამდენი ყვითელი ნათურა უნდა მოაკლდეს სანათს, რომ დარჩენილი ნათურებიდან 75% ყვითელი იყოს?
ა. 50 ბ. 75 გ. 100 დ. 150

4. **(9 ქულა)** მთელ რიცხვთა სიმრავლეს ვუწოდოთ "ხალვათი", თუ ის არ შეიცავს სამი თანმიმდევრული მთელი რიცხვიდან 1-ზე მეტს. რამდენი ქვესიმრავლეა {1,2,3,...12} სიმრავლიდან (ცარიელი სიმრავლის ჩათვლით), რომელიც არის "ხალვათი"?
ა. 9 ბ. 79 გ. 99 დ. 129

5. **(6 ქულა)** დათოს ასაკის ორი ციფრი იგივეა, რაც სოფოს ასაკის ციფრები, მაგრამ საპირისპირო თანმიმდევრობით. ხუთ წელიწადში დათო ორჯერ უფროსი იქნება, ვიდრე სოფო. რა განსხვავება შეიძლება იყოს სოფოსა და დათოს ამჟამინდელ ასაკში?
ა. 9 ბ. 18 გ. 27 დ. 36

6. **(8 ქულა)**
   I. კომპანიაში დასაქმებული ქალების 40%-ს არ აქვს უმაღლესი განათლება.
   II. კომპანიაში დასაქმებული მამაკაცებიდან 80%-ს აქვს უმაღლესი განათლება.

იმის დასადგენად თუ კომპანიის თანამშრომლების რამდენი პროცენტია ქალი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება:
ა. საკმარისია მხოლოდ I პირობა, მაგრამ II არა
ბ. საკმარისია მხოლოდ II პირობა, მაგრამ I არა
გ. საჭიროა როგორც I, ისე II პირობა
დ. არც ერთი პირობა ერთადაც არაა საკმარისი საპასუხოდ